დანართი 1

ესეების კონკურსი „ნაბიჯი თანადგომისკენ“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით ქვეყნის მასშტაბით იგეგმება ძალადობის წინააღმდეგ მასშტაბური კამპანია „ნაბიჯი თანადგომისკენ. . . “. კამპანია იწყება **19 ნოემბრიდან**- ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის საერთაშორისო დღეს და სრულდება **10 დეკემბერს** – ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს.

აღნიშნული კამპანიის ფარგლებში ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენს ესეების კონკურსი **„ნაბიჯი თანადგომისკენ“.**

კონკურსის მიზანია მოზარდები დააფიქროს იმ ადამიანებზე, რომელთა უფლებები შეზღუდული იყო ან დღესაც იზღუდება; ადამიანებზე, რომელთაც უწევთ დამცირების, ტკივილის, ძალადობისა და შეურაცხყოფის ატანა, ვინაიდან არ აქვთ თანატოლების, ახლობლების, საზოგადოების მხარდაჭერა.

კონკურსის პირობები:

- კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII კლასები) მოსწავლეებს;
- ესეს შინაარსი შესაძლებელია ეფუძნებოდეს როგორც რეალურ, ისე გამოგონილ ისტორიებს;
- კონკურსი ტარდება ორ ეტაპად;
- კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ესე თემაზე **„ნაბიჯი თანადგომისკენ“.** მისი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 300 სიტყვას; ესე შესაძლებელია იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ხელნაწერის სახით. (მნიშვნელოვანია, რეალური ისტორიების ასახვის შემთხვევაში, დაცული იყოს ანონიმურობა და ესეში წარმოდგენილი პირების სახელები, გვარები, საცხოვრებელი ადგილი და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს);
- დასაშვებია ავტორის მიერ ესეს ილუსტრირება (ილუსტრაცია უნდა იყოს პოზიტიური შინაარსის და არ უნდა გამოსახავდეს პირდაპირ აგრესიას, ასევე არ უნდა იძლეოდეს პერსონაჟის იდენტიფიცირების საშუალებას);
- ესეს ბოლოს მითითებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი, კლასი, სკოლის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია;

  - **I სასკოლო ტური**- აღნიშნულ ტურს ორგანიზებას უკეთებს სკოლის ადმინისტრაცია (მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის საკონკურსო პირობების და ვადების გაცნობა, კომისიის დაკომპლექტება და მისი მუშაობის დაოქმება, კონკურსის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, არაუმეტეს 2 საუკეთესო ესეს გამოვლენა).

შედეგად, სკოლა გამოვლენს არაუმეტეს 2 საუკეთესო ესეს. სასკოლო ტურში გამარჯვებული ესე საქმისწარმოების ელექტრონული სისიტემის -(eflow) მეშვეობით უნდა გამოიგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანო- შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრში (შემდგომში რესურსცენტრი). რესურსცენტრი უზურნველყოფს მათ დაქვემდებარებაში არსებული სკოლებიდან შემოსული საკონკურსო მასალების გაერთიანებას და სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტში გადმოგზავნას (eflow საშუალებით).

- **II ტური-** რესურსენტრების მიერ გამოგზავნილი ნამუშევრებიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ შექმნილი კომისია გამოავლენს გამარჯვებულ ესეებს;

გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება

ზემოაღნიშნული კომისია შეარჩევს არაუმეტეს 20 ესეს, რომელთა შორის გამოვლინდება არაუმეტეს 10 **გამარჯვებული:**

- I, II, III საპრიზო ადგილები;
- შვიდი საუკეთესო ესე.

გამარჯვებულები (არაუმეტეს 10 ესეს ავტორი) დაჯილდოვდებიან დიპლომებით და ფულადი პრიზებით.

I ადგილი-400 ლარი (დაქვითვის გარეშე);
II ადგილი-300 ლარი (დაქვითვის გარეშე);
III ადგილი - 200 ლარი (დაქვითვის გარეშე);
ათეულში გასული-100 ლარი (დაქვითვის გარეშე);

დანარჩენი ოცეულში მოხვედრილი არაუმეტეს 10 ესეს ავტორს გადაეცემა წამახალისებელი სიგელები.

კომისია უფლებამოსილია, საკონკურსო მასალების შესრულების ხარისხიდან გამომდინარე, რომელიმე ზემოაღნიშნულ საპრიზო ადგილზე არ წარადგინოს გამარჯვებული.

<u>ვადები</u>

- სკოლების მხრიდან, კონკურსის შესახებ მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინფორმირება - არაუგვიანეს 19 ნოემბრისა;
- მოსწავლეების მიერ ესეს მომზადება -არაუგვიანეს 25 ნოემბრისა;
- სკოლების მიერ I ტურში გამარჯვებულების გამოვლენა და სკოლებიდან გამარჯვებული ესეების რესურსცებტრებში გაგზავნა - არაუგვიანეს 28 ნოემბრისა;

- რესურსცენტრის მიერ სამინისტროში სასკოლო ტურის შედეგების გადაგზავნა- არაუგვიანეს 1 დეკემბრისა;
- სამინისტროში შექმნილი კომისიის მიერ გამარჯვებული ესეების გამოვლენა არაუგვიანეს 26 დეკემბრისა;

<u>შეფასების კრიტერიუმები:</u>

- თემასთან შესაბამისობა;
- თხრობის, აზრის ორიგინალურად და ლაკონურად გადმოცემის უნარები;
- ტექსტის გრამატიკულ და შინაარსობლივ გამართულობა;

მნიშვნელოვანია, ესეს შინაარსი **ორიენტირებული იყოს მხარდაჭერასა და თანადგომაზე;** ესე (ილუსტრაცია) არ იძლეოდეს რეალური პერსონების იდენტიფიცირების საშუალებას; **გამოხატავდეს პოზიტივს და არა აგრესიას.**

პლაგიატის შემთხვევაში ნაშრომი არ განიხილება.

	ბიუჯეტი			
#	**დანახარჯის სახე**	**ერთეულის ფასი**	**მოსწ-თა რაოდენობა**	**საერთო თანხა**
1	**საპრიზო ფონდი**			2000
1	I ადგილი	500	1	500
1	II ადგილი	375	1	375
1	III ადგილი	250	1	250
1	საუკეთესო ესეები	125	7	875
2	**დიპლომების /სიგელების ბეჭდვა**	1	25	25
ჯამი				**2025**